Diana Tkebuchava
https://orcid.org/0000-0002-4337-3259
Doctor of Philology (Media Studies), Professor,
Academic Research Coordinator at BRAMS Institute

WAY OF TRUTH AS SHACKLES AND WINGS

http://doi.org/10.5281/zenodo.5764891

(Abstract)

KEYWORDS: George Orwell, Mark Twain, Gianni Rodari, Grazia Deledda, Arno Schmidt, Joseph Roth, Anna Seghers, Political Writing, Criticism, English Literature, American Literature, Italian Literature, German Literature

"What I have most wanted to do over the past ten years is to elevate political writing into an art form," wrote George Orwell, the master of speech and thought. He successfully achieved this goal. However, as the master of political satire, Eric Arthur Blair—better known as George Orwell—displays a degree of bias in his literary criticism. To put it mildly, he risks adopting a maximalist stance when appraising the works of his peers. His essay "Mark Twain – The Licensed Jester," along with his views on contemporary German, Italian, and Russian literature, serves as clear evidence of his subjectivity.

According to his biographer, George Orwell's life and creative strategy revolved around a constant escape from the camp of the victors. This raises a significant question: how is it that the winner often lacks a sense of justice? If this is indeed the case, what is the true meaning of victory? The truth can function as both a restriction and a liberation, acting as shackles and wings simultaneously,

embodying a form of moral heroism. People often struggle to maintain balance while navigating such precarious situations.

Despite the validity of George Orwell's general principles, his views become increasingly radical when assessing writers from specific countries or the works of particular authors. His assertion that literature dies and ceases to exist under totalitarian governments is quite controversial and may be regarded as unacceptable. For instance, Raffaello Giovagnoli wrote *Spartacus* during the ideological repression in Italy. Furthermore, numerous literary masterpieces were created in the Georgian language during the Soviet era at great risk to the authors' lives amidst severe repression. In fact, literature did not perish during the totalitarian Soviet regime; instead, it fought for survival like the "leaves of grass"—to quote Walt Whitman—pushing through asphalt.

A similar situation unfolded in Mussolini's Italy and Nazi Germany, where literature thrived despite oppression and the ever-present threat of persecution. Many talented writers emerged and flourished during those dark times. Despite the well-documented facts and the recognition of these literary figures, George Orwell appeared unable to acknowledge that a true author can remain internally free under any political regime, and that no one or nothing can silence their literary voice.

George Orwell succeeded in transforming political literature into art; however, the English author struggled to appreciate the contributions of his fellow writers from different countries.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დიანა ტყებუჩავა
https://orcid.org/0000-0002-4337-3259
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ბრამსის ინსტიტუტის აკადემიური კვლევების კოორდინატორი

სიმართლის გზა – ფრთებიცა და ბორკილიც...

http://doi.org/10.5281/zenodo.5764891

საკვანძო სიტყვები: ჯორჯ ორუელი, მარკ ტვენი, ჯანი როდარი, გრაცია დელედა, არნო შმიდტი, ჯოზეფ როთი, ანა ზეგერსი, პოლიტიკური ნაწერი, კრიტიკა, ინგლისური ლიტერატურა, ამერიკული ლიტერატურა, იტალიური ლიტერატურა, გერმანული ლიტერატურა

„რაც ყველაზე მეტად მსურდა ბოლო ათწლეულში, ისიცაა, რომ პოლიტიკური ლიტერატურა ხელოვნებად მექცია“,[11] წერდა სიტყვისა და აზრის დიდოსტატი ჯორჯ ორუელი. მან ეს წარმატებით განახორციელა გასული საუკუნის გახმაურებულ წიგნებში „ცხოველების ფერმა“[13] (1945) და „1984“[7] (1949), სადაც ჭეშმარიტების ძიების, ლამის, დეტექტივისებურად აზარტულ პროცესს არანაკლები ექსპრესიულობით ერწყმის ფრაზის, სიტყვის ემოციური მუხტი, მეტაფორული აზროვნება, სათქმელის ესთეტიზაციის, სემიოტიზაციის ხელოვნება, პოლიტიკური აზრის – ამ მრუმე და ჩახლართული თემის მკითხველამდე მსუბუქად, ეფექტურად მიტანის ოსტატობა. წერის ამგვარი მანერის არაერთი ნიმუშია გასული საუკუნის პირველი ნახევრის ინგლისელი მწერლისა და პუბლიცისტის ჯორჯ ორუელის, იგივე, ერიკ არტურ ბლერის (1903-1950) ესეისტიკაშიც.

„როცა ჩემს ნაღვაწს გადავავლებ თვალს, ვხედავ: იმ ნაწარმოებში, სადაც არ მქონდა პოლიტიკური მიზანი, მუდამ უსიცოცხლო წიგნი იბადებოდა“,[11] მკაცრი კრიტიკით აფასებს საკუთარ შემოქმედებას თავად მწერალი. მე-

ორე მხრივ, ჯორჯ ორუელის პოლიტიკური სატირა სწორედ იმით ხიბლავს მკითხველს, რომ ავტორი შემოქმედებითი მიზანსწრაფვით, ლიტერატურული გემოვნებით აზავებს ფორმისა და შინაარსის თანხმიერებას, ემოციურისა და რაციონალურის იმგვარ ურთიერთმიმართებას, როცა აზრს, ჭეშმარიტებას ემოციური სამოსელი რელიეფურად წარმოაჩენს, შთაბეჭდილებას ამძაფრებს და დამაჯერებლობას სძენს. „როცა წიგნის წერას ვიწყებ, არ ვამბობ: „მინდა შევქმნა ხელოვნების ნაწარმოები“. იმიტომ ვწერ, რომ არსებობს რაღაც სიყალბე, რომელსაც ნიღაბი უნდა ჩამოვხადო; რაღაც ფაქტი, რომლისკენაც მინდა მივაპყრო საზოგადოების ყურადღება“, ასე ხსნიდა საკუთარი „შემოქმედებითი ლაბორატორიის“ მიზანდასახულობას. თავად წერდა: „ჩემი უმთავრესი საზრუნავია, შევეცადო, რომ გაიგონ ჩემი ხმა, მაგრამ ვერც წიგნს დავწერ და ვერც ესეის, თუ იგი, ამავდროულად, ესთეტიკური განცდით არ იქნება გაჯერებული...“[11]

მეტაფორული აზროვნება ერიკ ბლერის ესეისტიკის „სავიზიტო ბარათია“.

„ჩვენი სისხლის სამართალი ისეთივე დრომოჭმულია, როგორც ტაუერის მუშკეტები“[10] – ეს მეტყველი შედარება დამაჯერებლობასა და გამომსახველობას სძენს ავტორის მოსაზრებას. ამასთან, სარწმუნო ექსპრესიული არგუმენტის ფუნქციასაც ითავსებს.

საგულისხმო დასკვნებს გვთავაზობს ჯორჯ ორუელი კვლავ შედარების ხერხის გამოყენებით, ინგლისელთა კანონმორჩილების თავისებურებები რომ ეფექტურად დაგვანახოს: „კანონის პატივისცემა უზომოდ მნიშვნელოვანი ინგლისური თვისებაა“, „ინგლისელის კანონმორჩილება ეფუძნება მისდამი რწმენას, როგორც რაღაც სახელმწიფოსა თუ ინდივიდუუმზე მაღლა მდგომისადმი“, „ხალხი ეგუება მას (კანონს, დ.ტ.), როგორც, ვთქვათ,

BRAMS Journal No. 4 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ამინდს“. ანალოგია ზუსტად მისადაგებული და შთამბეჭ-დავია. შედარების ხერხით გამოხატული პოზიცია და ამ გზით შემოთავაზებული არსი, დვრიტა ხშირია ორუელის ესეისტიკაში.

ფრანგი მწერალი ქალბატონი სიმონა ვეილი ასეთ, ერთი შეხედვით, პარადოქსულ ფორმულას გვთავაზობს: «Справедливость, как вечная беглянка из лагеря победителеи...»[11] მუდმივი გაქცევა გამარჯვებულთა ბანა-კიდან – ეს ჯორჯ ორუელის ცხოვრებისეული და შემოქ-მედებითი სტრატეგიაა – გვარწმუნებს მისი ბიოგრაფი, რითაც კიდევ ერთ თავსატეხს, ერთ საჭირბოროტო კითხ-ვას გვიჩენს: ნუთუ გამარჯვებული სამართლიანობის შეგ-რძნებას ვერასოდეს ინარჩუნებს? აბა, რად უნდა ასეთი გამარჯვება?!

ჩანს, სიმართლის მსახურება ფრთებიცაა და ბორკი-ლიც ერთდროულად. გარკვეული აზრით, ზნეობრივი გმი-რობის ტოლფასი. ადამიანებს ხშირად უჭირთ ამ მოქანა-ვე ბეწვის ხიდზე წონასწორობის შენარჩუნება. ბეწვის ხიდზე, რომელიც გაბმულია ორ უკიდურესად საპირისპი-რო შეგონებას შორის: ერთის მხრივ – „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“, ოღონდ: „სი-მართლის მთქმელს ცხენიც შეკაზმული უნდა ჰყავდეს“ (სავარაუდოდ – „გამარჯვებულთა, resp.: ძლიერთა ამა ქვეყნისათა ბანაკიდან გასაქცევად“), მეორე ნაპირი კი კომპრომისული, მაგრამ ნაკლებ საამაყოა ღირსების შე-ნარჩუნების თვალსაზრისით და იმ ირონიული შეგონებით გამოიხატება, რომ „გამარჯვებულს არ ასამართლებენ“... ისიც უნდა ითქვას, რომ თვით ტერმინი „გამარჯვება“ და კატეგორია – „გამარჯვებული“ დაზუსტებას საჭიროებს: არსებობს მეტად საგულისხმო ამერიკული გამოცემა „გა-მარჯვებისთვის დაბადებულნი“,[9] სადაც ვკითხულობთ: „ჩვენთვის გამარჯვებული ისაა, ვინც აუტენტურად (ადეკ-

BRAMS Journal No. 4 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ვატურად) რეაგირებს ყველაფერზე, როგორც პიროვნება და საზოგადოების წარმომადგენელი: გულწრფელად, პასუხისმგებლობით, მზრუნველობითა და ნდობის აღმძვრელად.

დამარცხებული ისაა, ვისაც არ ძალუძს იყოს აუტენტური".[9] ეს ისე – საკითხის დაზუსტება-ნათელყოფისთვის, თორემ, ცხადია, ჯორჯ ორუელი არც ამგვარ გამარჯვებას და არც ამგვარად გამარჯვებულს გულისხმობდა... აქ უთუოდ უნდა გაიმიჯნოს წარმატებულისა[5] და გამარჯვებულის ცნებები.

ჯორჯ ორუელის ესეების თავისებურება უპირატესად იმაში ვლინდება, რომ ხშირად ავტორის მიზანი სწორედ საკუთარი კრედოს – მისეული ჭეშმარიტების, სიმართლის, სამართლიანობის, საკუთარი ხედვის კუთხის დამკვიდრებისათვის უკომპრომისო ბრძოლის იდეის შემოთავაზებაა. არცთუ იშვიათად – ზღვარდაუდებელიც და, ოღონ არ იყოს, ახირებულიც. ვთქვათ ისეთი, როგორიცაა ესეი „მარკ ტვენი – ნაფიცი ტაკიმასხარა". ამ ნაწარმოების პათოსი ორუელის კონცეფციის დაჟინებული და, რამდენადმე, ხისტი დემონსტრირებაცაა: მისი ღრმა რწმენით, ამერიკული „ოქროს ციებცხელების" ეპოქის წარმატებული ჟამთააღმწერი მარკ ტვენი „პრეტენზიას აცხადებს „საზოგადოების კრიტიკოსისა და ერთგვარი ფილოსოფოსის როლზეც";[10] მაგრამ როგორც ორუელი წერს, მარკ ტვენი „ვერაფრით განთავისუფლდა ტიპური ამერიკული შეხედულებისაგან, რომ „წარმატება (resp.: სათნოება, ზნეობრიობა) და ღირსება იდენტური ცნებებია".[10] ამიტომაც ჯორჯ ორუელი უმკაცრესად შეაფასებს მსოფლიოში სახელგანთქმული იუმორისტის, მწერლისა და პუბლიცისტის, პოპულარული ლექტორის მოღვაწეობას. მისი შეფასებანი დიამეტრალურად განსხვავდება საყოველთაოდ დამკვიდრებული იმიჯისაგან „ბალახის ფესვების" მწერ-

BRAMS Journal No. 4 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ლისა“,[1] უილიამ ფოლკნერი რომ „ამერიკული ლიტერა-ტურის მამას“ უწოდებდა.

ორუელი მიიჩნევს, რომ მარკ ტვენს არ აღმოაჩნდა ის სიმამაცე, სიმართლისათვის მებრძოლს რომ სჭირდება უცილობლად. ამ დებულების საილუსტრაციოდ ბრიტანე-ლი კრიტიკოსი შედარების ხერხს იყენებს: „მარკ ტვენს ხშირად ადარებენ მის თანამედროვე ანატოლ ფრანსს და ეს შედარება მთლად უსაფუძვლოც არაა. ორივენი ვოლ-ტერის სულიერი მემკვიდრენი იყვნენ, ბუნებამ ორივეს არგუნა ირონიულობა და პესიმიზმი ცხოვრებასთან მი-მართებაში. ორივემ იცოდა, რომ არსებული სოციალური წესრიგი სრული სიყალბეა, ე.წ. სანუკვარი იმედები კი ხალხისა, უმეტეს შემთხვევაში – ილუზორული. აღიარე-ბული უღმერთონი, ორივე დარწმუნებული იყო რომ სამ-ყარო ბრმა და დაუნდობელია (მარკ ტვენი – დარვინის გავლენით).

აქ მსგავსება მთავრდება.

ფრანგი მწერალი გაცილებით წიგნიერი და განათ-ლებულია. უფრო ფაქიზი – ესთეტური თვალსაზრისით და, რაც მთავარია, გაცილებით მამაცია: პირუთვნელად ამხელს მითებს, თაღლითობას, გაიძვერობას. არ იმალება, როგორც მარკ ტვენი, „საზოგადო მოღვაწისა“ და ნაფიცი ტაკიმასხარას „კეთილმოსურნე“ ნიღბის ქვეშ... რაც შეე-ხება მარკ ტვენს, თუ არ ჩავთვლით მის მომცრო ესეის „რა არის ადამიანი“, იგი არასდროს აკრიტიკებს „სანუკ-ვარ იმედებს“ (ილუზიებს, დ.ტ.), თუ ეს მას ვნებას მოუ-ტანს“.[10]

ორუელი-ესეისტი მიიჩნევს, რომ ამერიკელი მწერ-ლის შემოქმედებითი და ცხოვრებისეული პოზიცია განუ-ყოფელია და წარმატებებისაკენ უპირობო სწრაფვა მის შემოქმედებასაც (უფრო ზუსტად – სიმართლის დამკვიდ-რების, ჭეშმარიტების ძიების ფუნქციას მის შემოქმედება-

BRAMS Journal No. 4 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ში) ფრთებს უკვეცავს ავტორის საზარალოდ. ამის საბუთად ბრიტანელი ესეისტი იმოწმებს უზუსტობას მარკ ტვენის წიგნიდან „ცხოვრება მისისიპიზე“,[15] სადაც ჯორჯ ორუელის მტკიცებით: „თვალსაჩინოვდება მარკ ტვენის სისხლხორცეული სისუსტე. ამ, თითქმის, ავტობიოგრაფიული წიგნის ერთ-ერთ პირველ თავში მარკ ტვენმა მოვლენებს დრო შეუცვალა. კერძოდ, საკუთარი თავგადასავლები ლოცმანის პოსტზე ისე აღწერა, თითქოს, 17 წლის ჭაბუკი იყო მაშინ, როცა უკვე ოცდაათს მიღწეული გახლდათ“.[10] ამ ფაქტს არსებით მნიშვნელობას ანიჭებს ესეისტი და იმით ახსნის, რომ თავიდან მარკ ტვენი სამხრეთელების მხარეს იბრძოდა (ორუელი ამასაც ეჭვქვეშ აყენებს: თუ საერთოდ იბრძოდაო), მაგრამ მალე საპირისპირო მხარეს გადავიდა. „ასეთი ქცევა ყმაწვილს ეპატიება, მაგრამ არა – ზრდასრულ ადამიანს; ამიტომაც შეცვალა მარკ ტვენმა ქრონოლოგია“,[10] წერს ჯორჯ ორუელი. იგი სინამდვილის ამგვარი „შელამაზების“ მიზეზს ხედავს, ზოგადად, მარკ ტვენის მრწამსში, რომ „ძალა მუდამ მართალია“, ამიტომაც, სადაც მოუხერხდება, ყველგან ძლიერის მხარეს იჭერს“.[10]

ვფიქრობ, აქ ორუელი რამდენადმე მიკერძოებულია და ზედმეტად მკაცრიც. დავიწყოთ იმ ელემენტარულით, რომ მხატვრული სიმართლე ყოველთვის არ ნიშნავს და არც უნდა ნიშნავდეს ფაქტობრივს, რეალურს, რომ ხშირად ავთენტიკური რეალობაა მწერლური არჩევანის განმსაზღვრელი და ეს ლოგიკურია. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რა ასაკში იბრძოდა ავტორი ან საერთოდ ჩადიოდა რაიმეს თუ არა. მწერლურ შემოქმედებაში უმთავრესია ამ ქმედებათა შედეგად მიღებული გამოცდილება, რომელსაც ავტორი განაზოგადებს საკუთარ თუ სხვათა შთაბეჭდილების საფუძველზე და მხატვრულად გაიაზრებს საკუთარი კონცეფციის შესაბამისად. ამდენად, რა-

BRAMS Journal No. 4 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

გინდ კატეგორიულიც უნდა იყოს ორუელის მსჯავრი, მას ვერ გავიზიარებთ.

ბრიტანელი ესეისტი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მარკ ტვენის სხვა წიგნსაც „ხელმსუბუქად“,[16] რომლის პერსონაჟი ბანდიტი სლეიდი, მიუხედავად იმისა, რომ 98 ადამიანის მკვლელია და საშინელი გარეწარი, ავტორის აღფრთოვანებას იმსახურებს, ვინაიდან, ყველაფრის მიუხედავად, არაჩვეულებრივად წარმატებულია.

ჯორჯ ორუელის თქმით, ამგვარი მიდგომა ტიპური ამერიკული გამოთქმის არსში დევს: to make good, ანუ: წარმატების მიღწევა, გამარჯვება ნებისმიერი გზით, კეთილშობილების, ღირსების მომტანია, რაც კატეგორიულად მიუღებელია მისთვის. ბრიტანელი ავტორი ამ ამერიკულ მოვლენას შემდეგნაირ ახსნას უძებნის: „საყოველთაო, შეუნიღბავი, უსირცხვილო გამომძალველობის იმ პერიოდში, რაც სამოქალაქო ომს მოჰყვა, ძნელი იყო წარმატებისკენ სწრაფვის ტყვეობაში არმოხვედრა, მით უფრო, ისეთი ტემპერამენტის ადამიანისთვის, როგორიც მარკ ტვენი გახლდათ. წარსულს ჩაბარდა ძველი მარტივი, თუთუნის მღეჭავი და აბრაამ ლინკოლნის პიროვნებაში განსხეულებული დემოკრატია – უსაქმურობის გამო ჯოხის მთლელი. დადგა იაფი იმიგრანტი მუშახელისა და დიდი ბიზნესის ბატონობის ეპოქა“.[10] დიდწილად მიკერძოებული და სადაოც ჩანს ამგვარი შეფასება. ჯერ ერთი, ცნობილია, რომ აბრაამ ლინკოლნი ვიგების პარტიიდან მოსული რესპუბლიკელი პოლიტიკოსი იყო და „ლინკოლნის პიროვნებაში განსხეულებული დემოკრატია“ ძნელი წარმოსადგენია, თუ აბსურდული არა.

„მსუბუქი სატირული შტრიხებით დაგვიხატა მარკ ტვენმა „მოოქროვილი საუკუნის“ თავისი თანამედროვენი და თავადვე დაავადდა მომხვეჭელობის გავრცელებული ციებ-ცხელებით“.[10] შედეგად, როგორც ჯორჯ ორუელი

BRAMS Journal No. 4 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

წერს: „მარკ ტვენი თავშეუკავებლად ადიდებდა ამერიკული ეროვნული ხასიათის ყველაზე მდაბალ და ვულგარულ თვისებებს. ადამიანი, რომელსაც შეეძლო გამხდარიყო პროვინციელი თვითნასწავლი ვოლტერი, სუფრის ორატორად იქცა, მსოფლიოში სახელგანთქმულ ანეკდოტების მფრქვეველად, მდიდარ საქმოსანთა მეხოტბედ და საზოგადოების წარჩინებულებად მათ წარმომჩენად“.[10]

ყოველივე ამის შედეგად, ორუელი მიიჩნევს, რომ: „მარკ ტვენმა ვერ დაწერა ისეთი წიგნები, როგორიც უნდა დაეწერა“, „მარკ ტვენს რომ კითხულობ, განიცდი საოცარ შეგრძნებას, თითქოს, მას შეეძლო გაცილებით მეტი ეთქვა, რაღაც სხვა, მაგრამ ვერ გაბედა. როცა ფურცლავ „ცხოვრებას მისისიპიზე“ ან მის დანარჩენ თხზულებებს, გეჩვენება, რომ სტრიქონებს შორის მოძრაობს რაღაც სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი, ღრმა და ჰარმონიული წიგნის აჩრდილი“[10] – წერს ბრიტანელი ესეისტი. ორუელი აქ სიმართლესთან ახლოა: მარკ ტვენი, მართლაც, ვერ თუ არ რისკავდა ყველაფრის ღიად თქმას და ეს არათუ „იგრძნობა“, ცხადზე უცხადესია, არანაირი „მისნობა“ არაა საჭირო, მაგრამ მარკ ტვენის პუბლიცისტიკის ფასი იოტისოდენადაც არ კნინდება მისი ქვეტექსტურობით, პოზიციის ვუალიზებულად გამოხატვის ოსტატობით. პირუკუ: ვისაც სურს და უნარიც აქვს, იოლად ხვდება, რას „არ ამბობს“ ამერიკელი მწერალი. მისი გენიალობაც ისაა, უთქმელად რომ „ამბობს“, სტრიქონებს შორის, ნართაულად. ეს რომ ასე არ იყოს, მარკ ტვენის წიგნების აკრძალვა არავის დასჭირდებოდა ამერიკის ზოგიერთ შტატში უკვე ჩვენს ეპოქაში მაშინ, როცა ორუელი არსად არავის აუკრძალავს ევროპა-ამერიკაში... იგი მხოლოდ საბჭოთა კავშირის თავისთავად იზოლირებულ და „რკინის ფარდის“ მიღმა არსებულ სივრცეში იკრძა-

BRAMS Journal No. 4 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ლებოდა, თუმცა, ჭეშმარიტ მკითხველამდე მაინც იოლად აღწევდა იდუმალი გზებით.

ჯორჯ ორუელი ამგვარი „ხელმოცარვის“ ცალსახა მიზეზს იმაში ხედავს, რომ მარკ ტვენი „თავად წავიდა ამგვარ კაპიტულაციაზე საკუთარ ხასიათში არსებული ძირეული ხარვეზის – „წარმატების სურვილზე ამაღლების უუნარობის გამო“.[10]

საბოლოოდ ესეისტი დაასკვნის, რომ საპირისპირო შემთხვევაში „იოლი მისახვედრია, როგორ დაზარალდებოდა მისი რეპუტაცია და რაოდენ შემცირდებოდა მისი ჰონორარები“.[10] აქ ასოციაციურად გვახსენდება სულხანსაბა და მისი ბრძნული არაკი „იხვი და მყვარი“: ჭეშმარიტი თავისუფლება, არისტოტელეს მიხედვით, ხომ არჩევანის თავისუფლებაა. იხვმა და მყვარმა გააკეთეს თავთავიანთი არჩევანი, მარკ ტვენმაც... ძნელი სათქმელია, მით უფრო – განსასჯელი, რა სჯობს: „მოვიდა, ნახა, გუბე გამხმარიყო, მყვარი მომკვდარიყო. უთხრა: ძმობილო, მაგისთანას სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული სჯობნებიაო“.[6] ან: ლერწმის „სიბრძნე“, ქარიშხალს რომ თავს დაუხრის, გადარჩება და ისევ წელში გაიმართება თუ მუხის ტოტებდამსხვრეული და ხშირად – წელში გადატეხილი „სიჯიუტე“?!

ვფიქრობ, არც მხოლოდ „რეპუტაცია თუ ჰონორარები“ განაპირობებდა მარკ ტვენის „არჩევანს“, ბოლოს და ბოლოს, არსებობს დიპლომატიური დუმილიცა და დროებითი უკან დახევაც („საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს“). საპირისპირო შემთხვევაში, მარკ ტვენსაც ამერიკის შეერთებული შტატების დატოვებას აიძულებდნენ ჩარლი ჩაპლინივით ან ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი უოლტერ ლიპმანივით.[3] მარკ ტვენს კი, ჩემი ღრმა რწმენით, სურდა ეწერა და ეწერა, რომ ამერიკელთა მცირე (საუკეთესო!) ნაწილამდე მაინც მიეტანა სათქმელი და ჭეშმარიტი პატ-

BRAMS Journal No. 4 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

რიოტობა, სიმართლის დანახვა-დაფასება მათაც ესწავ-ლათ ან, არ დაეკარგათ. მხოლოდ თავდაცვის ინსტინქტი ანდა ფულის შოვნის სურვილი არ იყო ეს. ორუელი თა-ვისუფალი სიტყვის სამშობლოში, ინგლისში ცხოვრობდა და მაინც, ალეგორიული „ცხოველების ფერმა“ დაწერა. მარკ ტვენი კი ამერიკის პოლიტიკურად ყველაზე მოუსვე-ნარ პრეზიდენტთა პერიოდში ცხოვრობდა და მოღვაწეობ-და, მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეულები იყვნენ: ლინკოლნი, ჯონსონი, გრანტი, ჰეისი, კლივლენდი, ჰარი-სონი, მაკ-კინლი და თეოდორ რუზველტი – ამ უკანას-კნელს „XX საუკუნის ტომ სოიერი უწოდა“,[5] მეტი რა ექ-ნა?! თანაც, მარკ ტვენი სწორედ იმ სამხრეთში დაიბადა და აღიზარდა, რომელსაც ჩრდილოეთმა „გადაუარა“ ამე-რიკის სამოქალაქო ომის დროს. ორუელი არ მოსწრებია ინგლისში მსგავს შიდა ომს და, რბილად რომ ვთქვათ, „იოლად“ განსჯის ამერიკელ მწერალს. ჩემი ღრმა რწმე-ნით, მარკ ტვენი ნოამ ჩომსკივით ფრთხილობდა,[3] რომ დიდხანს ეცლიათ სათქმელის მითითება მაინც, თქმა თუ არა.

მარკ ტვენის მწერლური შეფასებისას, არც ის უნდა იყოს უმნიშვნელო ფაქტი, რომ სწორედ იგია პირველი ამერიკელი, ვინც მსოფლიო დონის „სელებრითი“ ანუ ცნობილი ადამიანი გახდა. ეს მთლიანად მისი ნიჭის დამ-სახურების შედეგი იყო, ამგვარი რამ შემთხვევით არ ხდება. ორუელს თავისი სიმართლე აქვს (უფრო კი, სი-მართლის ნაწილი), მაგრამ მისი განსჯის სისუსტეა, რო-დესაც მწერალს შეაფასებს მხოლოდ ტექსტის მიხედვით და არ ითვალისწინებს იმ პოლიტიკურ გარემოს, რომელ-შიც ავტორს მოუხდა მოღვაწეობა. XX საუკუნეში, უკვე ფრანკლინ დელანო რუზველტის ეპოქაში (რასაც 1903 წელს დაბადებული ორუელი მოესწრო, 1910 წელს გარ-დაცვლილი მარკ ტვენი კი ვერა), შესაძლოა, სულ სხვა-

BRAMS Journal No. 4 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ნაირად ეთქვა თავისი სათქმელი ამ დიდებულ ამერიკელ მწერალს, რომლის დევნა (სასკოლო პროგრამიდან ამოიღეს ამერიკის ზოგ შტატში მისი არაერთი ნაწარმოები და საერთოდაც, ნაკლებად ასწავლიან მაშინ, როცა ნომერ პირველი ავტორი უნდა იყოს ყოველი ამერიკელი ბავშვისთვის), ფაქტობრივად, მისი გარდაცვალების მერე დაიწყო. „შემგუებელ“ და „ანგარებიან“, „მდიდარ საქმოსანთა მეხოტბე და საზოგადოების წარჩინებულებად მათ წარმომჩენ“ პიროვნებებს ასე არსად ექცევიან. ასე მხოლოდ მიგელ დე უნამუნოსავით პატრიოტ, სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარულ შემოქმედებს დევნიან.

ამდენად, ჯორჯ ორუელის მიმართება სიმართლის დამკვიდრების მწერლური (პუბლიცისტური) მოვალეობისადმი აბსოლუტურად მართებული და მისაღებია, მაგრამ რამდენადმე რადიკალური და უსამართლოცაა მისი განაჩენი, როცა საყოველთაოდ აღიარებულ და პოპულარულ მწერალს, იუმორისტს, პუბლიცისტს „ნაფიცი ტაკიმასხარის“ როლს არგუნებს და მარკ ტვენის შემოქმედებისა და ცხოვრების შეფასებისადმი მიძღვნილი ესეის სათაურადაც გამოაქვს ეს დამაკნინებელი ეპითეტი.

ჯორჯ ორუელის ესეი „ლიტერატურა და ტოტალიტარიზმი“[10] უფრო განზოგადებულ თვალთახედვას გვთავაზობს „პატიოსანი მიუკერძოებლობის“ პოზიციაზე ლიტერატურაში, რაც ძალზე რთულია და ურომლისოდაც იმავე ლიტერატურას გადაგვარების საფრთხე ემუქრება. შექსპირული მაქსიმა: „საკუთარი ბუნების ერთგული იყავ!“ მწერალს უპირველეს მოთხოვნად უყენებს – არ იცრუოს, წეროს მხოლოდ ის, რასაც ფიქრობს და განიცდის. „ხელოვნების ნამუშევრის ყველაზე დიდი ნაკლი ხომ სიყალბეა“,[10] ბრძანებს ბრიტანელი ესეისტი. მისი ღრმა რწმენით, ეს მოთხოვნა კიდევ უფრო მკაცრდება კრიტიკისა და პუბლიცისტიკის მიმართ, რაშიც, შეუძლე-

BRAMS Journal No. 4 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ბელია, არ დაეთანხმო, მაგრამ პიროვნება, ხელოვანი რომ შინაგანად მუდამ თავისუფალია, ნებისმიერი რეჟიმის ჟამს და მის ხმას ვერავინ და ვერაფერი ახშობს, რატომ-ღაც ამის დანახვა და აღიარება უჭირს, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებისა და სახელების მიუხედავად.

ტოტალიტარულ სახელმწიფოთა გარემოცვაში (რო-გორადაც ორუელი მიიჩნევს თავის თანამედროვე გერმა-ნიას, რუსეთსა და იტალიას) ლიტერატურას უდიდესი საფრთხე ემუქრება – პიროვნების ეკონომიკური თავისუფ-ლებისა და შესაბამისად, სხვა ყოველგვარი თავისუფლე-ბის შეზღუდვა.

ამგვარ ვითარებაში ბრიტანელი ესეისტი განსაკუთ-რებულ მნიშვნელობას ანიჭებს საჭირბოროტო კითხვას: შესწევს კი უნარი ჭეშმარიტ ლიტერატურას, იარსებოს ასეთ ატმოსფეროში? მისი პასუხი ლაკონიურია – არა! „თუ ტოტალიტარიზმი მსოფლიო მოვლენა გახდება და თანაც – პერმანენტული, ლიტერატურა აღარ იარსე-ბებს“.[10] „მაშინ, როცა თავს შეუმცდარად ასაღებს, ტოტა-ლიტარული სახელმწიფო, ამავდროულად, უარყოფს თვით ობიექტური ჭეშმარიტების ცნებას. ხორციელდება ყვე-ლაფრის კონტროლი ტოტალიტარული სახელმწიფოს მხრივ: აზროვნების, გრძნობის, ცხოვრების წესის“.[10] იო-ლი მისახვედრია, თუ რას უქადის ეს ლიტერატურას. ჯორჯ ორუელი აღნიშნულ ესეიში გვარწმუნებს: „შემოქ-მედება, პირველ ყოვლისა, განცდაა, გრძნობაა, რისი გა-რედან გაკონტროლებაც შეუძლებელია“.[10] „ლიტერატურა, რომელსაც იოტისოდენა ღირებულება მაინც შერჩა, შე-საძლებელია არსებობდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მწერალს თავად სჯერა იმის ჭეშმარიტება, რასაც წერს. თუ ეს განცდა არაა, უკვალოდ ქრება შემოქმედებითი ინ-სტინქტი“,[10] შესაბამისად, ლიტერატურაც.

ორუელი ცდილობს ამ მოსაზრების დასაბუთებას მისი თანამედროვე ტოტალიტარული ქვეყნების მაგალითებით, დღევანდელობის გადასახედიდან – უკვე ისტორიული ფაქტებით: „იტალიაში ლიტერატურა დამახინჯებულ-გადაგვარებულია“,[10] წერს ესეისტი, რასაც ვერაფრით დავეთანხმებით, ვინაიდან სწორედ იტალიაში, მაგ პერიოდში სიმართლეს ბავშვობიდან უნერგავს მკითხველ საზოგადოებას ორუელზე სულ ათი წლით უმცროსი გენიალური ჯანი როდარი.[4] როგორ უნდა ირწმუნო, რომ „იტალიაში ლიტერატურა გადაგვარებულია“, თუკი იქ თუნდაც ერთი ასეთი მარადიული „ლიტერატურული დონკიხოტი“ საქმიანობს? მართალია, საერთაშორისო აღიარება როდარიმ ჰანს კრისტიან ანდერსენის პრემიის მიღების შემდეგ მოიპოვა, როცა ორუელი უკვე ოცი წლის გარდაცვლილი იყო, მაგრამ ვიდრე იტალიურ ლიტერატურას ასეთ საშინელ განაჩენს გამოუტან, ხომ უნდა იცნობდე და იცოდე, იქ რეალურად ვინ მოღვაწეობს და სინამდვილეში რა ხდება?

თავი დავანებოთ ქართველებისთვის კარგად ნაცნობ როდარის. იტალიაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მთელი პლეადაა მწერლებისა, რომლებიც არ არიან მარკ ტვენივით სახელგანთქმულები, მაგრამ გადაგვარებული კი არა, ღირსეული ლიტერატურა შეუქმნიათ. საკმარისია დავასახელო თუნდაც გრაცია დელედა (1871-1936), რომელსაც ნობელის პრემია მიენიჭა ლიტერატურის დარგში 1926 წელს. ამ ფონზე რა შეფასებას იძლევა ორუელი, რომელიც, სავარაუდოდ, დანტე ალიგიერისა და პეტრარკას მერე აღარავის უთვლიდა იტალიას მწერლად. სხვა საქმეა, რომ არაჩვეულებრივი უმბერტო ეკო მხოლოდ 1932 წელს დაიბადა და სწორედ მუსოლინის ეპოქაში გაატარა ბავშვობა, გაიზარდა და დიდებულ საერთაშორისო დონის მწერლად იქცა 1980 წელს, რასაც ვერ მოესწრო

BRAMS Journal No. 4 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ორუელი. ოღონდ ეს ფაქტი იმის დასტურია, რომ დიქტატურის პირობებშიც ძნელად, მაგრამ ვითარდება ჭეშმარიტი მწერლობა და ხელოვნება და გზას იკვლევს ასფალტის განაპობში ამოხეთქილი მცენარის სიჯიუტით.

იმავე ესეიში ორუელი ამტკიცებს, რომ ლიტერატურა „გერმანიაში, თითქმის, აღარ არსებობს“.[10] აქ, არც მეტი, არც ნაკლები, არნო შმიდტი (1914-1979) დააიგნორა ესეისტმა. იმიტომ ხომ არა, რომ მისი გერმანულიდან თარგმნა იმდენად ძნელია, ჯობია გერმანული ისწავლო?! არნოს „მწერალი, რომელსაც არავინ კითხულობს“ უწოდეს ამერიკელებმა და ჯოისს შეადარეს, ხოლო ბრიტანელებმა „მოდერნისტულ შედევრად“[10] აღიარეს მისი ნაწერი. არნოსაც ნობელის პრემია მიენიჭა მოგვიანებით, რასაც ორუელი ვეღარ მოესწრო. თუმცა, ლიტერატორი, კრიტიკოსი ხომ პრემიებითა და წარმატებებით არ ზომავს შემოქმედის ღირსებებს. მან ავტორისთვის მინიჭებული ოფიციალური ჯილდოების გარეშეც, თავად უნდა გაარჩიოს ღირებული და მდარე პროდუქცია. ესეც არ იყოს, 1929 წელს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი თომას მანი (1875-1955) რატომ არ მოსწონდა, ყოველ შემთხვევაში, სათვალავში რატომ არ ჩაუგდია, გაუგებარია. მკვდარს როგორ უწოდებდა გერმანულ ლიტერატურას, თუკი გერმანულენოვანი ჰერმან ბროხი (1886-1951) სწორედ ორუელის პერიოდში ცხოვრობდა და ერთ-ერთ უმთავრეს მოდერნისტ მწერლად ითვლებოდა. იქნებ, ამერიკელად თვლიდა სამშობლოდან აშშ-ში გაქცეულ, ებრაული წარმოშობის ავსტრიელ მწერალს, რომელიც ნიუიორკშიც ავსტრიული საზოგადოების პრობლემებს იკვლევდა და მათზე წერდა?

არც მეორე გერმანულენოვანი მწერალი, ავსტრიელი ჯოზეფ როთი (1894-1939) ჩათვალა ეტყობა გერმანული ლიტერატურის ნაწილად ორუელმა. 1927 წელს როთმა

BRAMS Journal No. 4 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

დაწერა „მოხეტიალე ებრაელები“,[10] პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპიდან დასავლეთ ევროპაში წასულებზე. ეს მწერალი უსამართლოდ მივიწყებული იყო და მხოლოდ XXI საუკუნეში თარგმნეს ინგლისურად მისი ჟურნალისტური ნაღვაწი. ასე აღდგა მსოფლიო ინტელექტუალებში ჯოზეფ როთის სახელი და შემოქმედება. ებრაელი იყო და ახლანდელ ლვოვში დაიბადა. უპირობობის ფონზე, პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის, 16 წელიწადში 16 რომანი დაწერა კაფეების მაგიდასთან კაცმა, რომელიც მუდმივად სარედაქციო დავალებებით იყო დახუნძლული. ის წერდა გერმანულად და თვლიდა თავს ავსტრიელად. ჟურნალისტობდა ბერლინსა და პარიზს შორის და არ ჰქონდა საკუთარი სახლი, მუდამ სასტუმროებში ცხოვრობდა. ჯოზეფ როთის მწერლური დონის გარკვევისთვის უთუოდ ისიც კმარა, რომ ამერიკულმა ჟურნალმა „ნიუიორკელმა“ კაფკას შეადარა მნიშვნელობით.

ფრანც კაფკა 1924 წელს გარდაიცვალა და ორუელი, ალბათ, ნაცისტების პერიოდის მწერლობას იწუნებს. ასეთია ებრაელი გერმანელი ანა ზეგერსი (1900-1983), რომელიც გესტაპოს ტყვეობას საფრანგეთში ემალებოდა და ამ დროს მის წიგნებს ფაშისტები კოცონზე წვავდნენ. საქმე ისაა, გესტაპო რას წვავდა – იმას, რაც იმ დროს გერმანულ ენაზე იქმნებოდა. აბა, „მკვდარი“ როგორ იყო გერმანული ლიტერატურა? ისინი კი წვავდნენ, მაგრამ იქმნებოდა და იქმნებოდა. ანა ზეგერსი დიასახლისობას არც მიატოვებდა, გესტაპოს რომ არ დაეჭირა. სწორედ ნაცისტური გერმანიის რეჟიმმა მისცა ბიძგი მის მწერლურ კარიერას. 1937 წლის ივლისში ეს ქალბატონი ესპანეთში ჩატარებულ მწერალთა ანტიფაშისტურ კონგრესში მონაწილეობდა.

BRAMS Journal No. 4 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ნაცისტების ძირითადი „ლიტერატურული საქმიანობა“ წიგნების დაწვაში გამოიხატება, მაგრამ, „არარსებულს“, „მკვდარს“ ხომ არ დაწვავდნენ? ჩანს იყო ის, რაც აფრთხობდა ფაშიზმს და მის იდეოლოგებს: შმიდტის, მანის, ბროხის, როთის, კაფკას, ზეგერსისა და სხვათა შემოქმედების სახით.

„რუსეთში კი, სადაც ოდესღაც ლიტერატურის აღმავლობის იმედი გვქონდა, გამოჩენილი რუსი მწერლები ან თავს იკლავენ, ან – ციხეებში იკარგებიან“.[10] ასეთია ორუელის მორიგი განაჩენი... შეიძლება, ციხეებში „იკარგებოდნენ“ ან „თვითმკვლელობით“ ასრულებდნენ სიცოცხლეს ავტორები, მაგრამ მათი ნაღვაწი, ლიტერატურა რჩებოდა და ცოცხლობდა. დღესაც ცოცხალია ანა ახმატოვას, მარინა ცვეტაევას, სერგეი ესენინის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიაზე ხუთჯერ წარდგენილი მაქსიმ გორკის, 1970 წელს ნობელის პრემიის ლაურეატ ალექსანდრე სოლჟენიცინისა და სხვათა შემოქმედების სახით. ციხეში „დაკარგულმა“ ლევან გოთუამ რომ მსოფლიო დონის შედევრის „გმირთა ვარამის“[2] დაწერა მოახერხა სასტიკი საბჭოთა რეჟიმის პირობებში, ორუელს არ მოეკითხება. ცხადია, ეს არალირიკული გადახვევაა ქართველი სკეპტიკოსი „კრიტიკოსებისთვის“, ვინც ორუელის დარად მიიჩნევს, რომ 70-წლიანი სისხლიანი საბჭოური რეჟიმის პირობებში „არაფერი ღირებული შექმნილა ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში“.

ერთი სიტყვით, ძირეულად მცდარია დებულება, თითქოსდა, ტოტალიტარული რეჟიმების დროს ლიტერატურა აღარ (ვეღარ) იარსებებს. ესეისტს ამგვარ ვითარებაში განწირულად მიაჩნია აზრის თავისუფლებაც, როგორც საფუძველთა საფუძველი ღირებული ლიტერატურის შექმნისა. უთუოდ ვერ ითვალისწინებს, რომ „ქმედება იწვევს უკუქმედებას“. მსოფლიო ლიტერატურული ცხოვრების გამოცდილებაც ადასტურებს ამ, ერთი შეხედ-

BRAMS Journal No. 4 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ვით, პარადოქსულ ფაქტს, რომ რაც უფრო ხისტია რეჟიმი, მით უფრო ძლიერია წინააღმდეგობა. ცხადია, ჯორჯ ორუელი ცამდე მართალია, როცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს გარედან თუ შიგნიდან თავს მოხვეული ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას; მაგრამ განა ბრძოლა არ იყო იმ ლიტერატორთა კალმის ნაღვაწი, ვისზეც ზემოთ გვქონდა საუბარი?! ნამდვილი სიტყვით ბრძოლა გაემართათ მათ ქვეყნებში გაბატონებული ბოროტების წინააღმდეგ.

ამრიგად, თავად პოლიტიკური სატირის დიდოსტატი ერიკ არტურ ბლერი რამდენადმე მიკერძოებული და, რბილად რომ ვთქვათ, სარისკოდ მაქსიმალისტია სხვათა შეფასებისას. თვალსაჩინო ნიმუშად უთუოდ გამოდგება მისი ესეი „მარკ ტვენი – ნაფიცი ტაკიმასხარა“ და მისივე თანადროული გერმანული, იტალიური თუ რუსული მწერლობის შეფასებანი. ესეისტის ზოგად დებულებათა უტყუარობისა და ჭეშმარიტების მიუხედავად, როცა საქმე კონკრეტული პიროვნებისა თუ ქვეყნის მწერლობის შეფასებაზე მიდგება, ჯორჯ ორუელის რადიკალური განცხადებები თუ პოზიცია კრიტიკას ვერ უძლებს. სადავოა, თუ მიუღებელი არა, ბრიტანელი ავტორის მტკიცებანიც იმის თაობაზე, რომ ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში „ლიტერატურა კვდება და აღარ არსებობს“. სხვა თუ არაფერი, „სპარტაკი“[8] დაიწერა ინკვიზიციის[14] პერიოდში, რომ აღარაფერი ვთქვათ საბჭოური პერიოდის მწერლობაზე, როცა არაერთი შედევრი შეიქმნა როგორც ქართულ, ისე სხვა ერების „საბჭოთა“ პოეზიასა თუ პროზაში. ცხადია, ავტორთა სიცოცხლის რისკის ფასად და მათ მიმართ უსასტიკესი რეპრესიების პირობებში.

სხვათა კრიტიკაში ჯორჯ ორუელი პერიოდულად ავლენს სახიფათო რადიკალიზმს და უსამართლო დასკვნებს გვთავაზობს. თუმცა, მისი ბასრი კალმის „ტოტალიტარულობისთვის დამახასიათებელი შეუწყნარებლო-

BRAMS Journal No. 4 ISSN 2667-9299 (print)
2021 Volume 2, Issue 1/2 ISSN 2960-9348 (online)

ბის“ ტონს ახლავს ეფექტური მწერლური სიტყვის ოსტატურად გამოყენება. ჯორჯ ორუელმა ჭეშმარიტად შეძლო დასახული მიზნის მიღწევა და პოლიტიკური ლიტერატურა ხელოვნებად გადააქცია, მაგრამ თანამოკალმეთა დამსახურების სათანადოდ დაფასებაში აშკარად მოიკოჭლებდა.

ლიტერატურა ▫ References

1. „ბალახის ფესვების“ მწერალი – მარკ ტვენის მეტსახელი, რომელიც მას უბრალო ადამიანების თანაგრძნობის, მათზე პირუთვნელად წერის გამო შეარქვეს, რასაც, როგორც ჩანს, არ იზიარებდა მისი კრიტიკოსი ჯორჯ ორუელი.
2. გოთუა ლევან (2021), გმირთა ვარამი, ორტომეული, თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“.
3. ნადარეიშვილი მაია (2011), მედია და პოლიტიკური იმიჯი, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
4. ნადარეიშვილი მაია (2020), მედიაწისქვილი: პოლიტიკური კომუნიკაცია, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
5. ნადარეიშვილი მაია (2008), მეოთხე კედლის ნგრევა, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
6. ორბელიანი სულხან-საბა, სიბრძნე სიცრუისა: იხვი და მყვარი (იგავი), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა [nplg.gov.ge/ebooks/authors/sulxan_saba_orbeliani/sibrdzne_sicruisa/ixvi%20da%20mkvari.pdf].
7. ორუელი ჯორჯ (2020), 1984, თბილისი: „პალიტრა L“.
8. ჯოვანიოლი რაფაელო (2011), სპარტაკი, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
9. Мюриел Джеймс, Джонгвард Дороти (1993), *Рожденные выигривать*, Москва: издательская группа «Прогресс-Универс» [lib.ru/NLP/dzhejms01.txt]
10. Оруел Джордж (1989), Сб. Джордж Оруел: «1984» и эссе разных лет, Москва: «Прогресс».
11. Оруел Джордж (1992), Сб. Джордж Оруел: «Эссе, статьи, рецензии», том 2, Пермь: изд-во «КАПИК» СССР («Почему я пишу, эссе»).
12. Giovagnoli, Raffaello (2003), *Spartacus*, Russian Edition, Moscow: AST. ISBN-13: 978-5170190263
13. Orwell, George (2021), *Animal Farm: A Fairy Story*, Naples, Italy: Albatross Publishers.
14. Paglia, Roberto (2005), The Inquisition in Sicily, *Best of Sicily* magazine.
15. Twain, Mark (2018), *Life on the Mississippi*, 100th Anniversary Collection, Orinda, CA: SeaWolf Press.
16. Twain, Mark (2021), *Roughing It*, Kindle Edition. ASIN: B09FJRTJVV